ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2022 წლის 19 დეკემბრის სხდომის

ოქმი № 9

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 32 წევრიდან - 26.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური პერსონალის 2022 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისიის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
2. საერთაშორისო ურთიერთობების მე-3 სემესტრის დოქტორანტ გიორგი კეკელიანის სამეცნიერო თემის ცვლილების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
3. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მე-4 სემესტრის დოქტორანტ ნათია კეკენაძის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატ რევაზ ჯორბენაძის მიმართვა ფაკულტეტის საბჭოს
   მომხს: თ. დოლბაია
6. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

მოისმინეს: 1. აკადემიური პერსონალის 2022 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისიის დამტკიცების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის 2022 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო - კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- თამარ დოლბაია - ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- სალომე დუნდუა - ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
- სანდრო ტაბატაძე - ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
- თეა ვახანია - ფაკულტეტის ფინანსური კონსულტანტი;
- მირანდა მიქაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

მოისმინეს: 2. დოქტორანტ გიორგი კეკელიანის განცხადება, სადისერტაციო თემის ცვლილების თხოვნით, დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ

აზრი გამოთქვეს: ფ. ასანიშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტ გიორგი კეკელიანის სადისერტაციო თემა სათაურით „ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მოქმედებაში: რუსეთი და საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები“

მოისმინეს: 3. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მე-4 სემესტრის დოქტორანტ ნათია კეკენაძის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლის შესახებ განცხადება, დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: საზოგადოებრივი გეოგრაფიის მე-4 სემესტრის დოქტორანტი ნათია კეკენაძე გადაყვანილ იქნას „ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამაზე

მოისმინეს: 4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების აუცილებლობის შესახებ, ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: მ. მაცაბერიძემ, თ. დოლბაიამ, ფ. ასანიშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: გათვალისწინებულ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და დამტკიცდეს ცვლილებები შემდეგ პროგრამებში (ოქმს თან ერთვის):

1) „პოლიტიკის მეცნიერება“, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დადგენილება#32530, 2021, დანართი#36)

2) „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (დადგენილება#45162, 2021, დანართი#65)

3) „გენდერის კვლევა“, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა *(დადგენილება #32541, 2021, დანართი#43)*

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატის, რევაზ ჯორბენაძის მიმართვა ფაკულტეტის საბჭოს, დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა, თამარ დოლბაიამ (ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად რ. ჯორბენაძის მიმართვა და დაკმაყოფილდეს მისი თხოვნა ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატობიდან მისი მოხსნის შესახებ

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, თ. დოლბაიამ, საბჭოს წევრებს გააცნო თსუ აკადემიური საბჭოს #116/2014 დადგენილებით დამტკიცებული ფაკულტეტის დეკანის საარჩევნო პროცედურები.

საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კონსტანტინე შუბითიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ნანული ტალახაძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. ნინო პაქსაშვილი - კომისიის მდივანი, სტუდენტი.

საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა თსუ აკადემიური საბჭოს #116/2014 დადგენილებით დამტკიცებული საარჩევნო პროცედურების შესაბამისად.

შედგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც დაფიქსირდა შემდეგი:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით - 32

2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში

   ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით - 26

3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა - 26

4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა - 0

5. თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა:

- სალომე დუნდუა - 21
- ხათუნა მაისაშვილი - 5

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა (შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

19 სექტემბერი, 2022 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. კონსტანტინე შუბითიძე
9. დავით მაცაბერიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. სალომე დუნდუა
13. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

14. ნინო ჭალაგანიძე
15. ხათუნა მაისაშვილი
16. მარი წერეთელი
17. მანანა შამილიშვილი
18. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

19. ნინო პავლიაშვილი
20. გიორგი გოგსაძე

21. ვაჟა ლორთქიფანიძე
22. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

23. რევაზ ჯორბენაძე
24. ნოდარ ბელქანია
25. ზურაბ აბაშიძე
26. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. ცირა თოფურია
29. ნინო პაქსაშვილი
30. კახი კუჭუხიძე
31. რატი ხითარიძე
32. შოთა ქარქაშაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარეს თამარ დოლბაიას

ფაკულტეტის საბჭოს წევრებს

მ ი მ ა რ თ ვ

ა

მოგესალმებით ქალბატონო თამარ და ფაკულტეტის საბჭოს
წევრებო!

2022 წლის 19 დეკემბერს დანიშნული ფაკულეტის დეკანის არჩევნებში კანდიდატად წარვადგინე ჩემი თავი და ჩავერთე საარჩევნო მარათონში იმ განზრახვით, რომ:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციაში წლების განმავლობაში დაგროვებული მდიდარი სამუშაო გამოცდილება გამომეყენებინა ფაკულტეტის შემდგომი განვითარებისთვის;
2. თავიდან ამეცილებინა დაძაბულობა და გავმკლავებოდი იმ არცთუ ჯანსაღ ვითარებას,

რაც, სამწუხაროდ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად გამოიკვეთა და რამაც ჩვენი გუნდის წევრის სამსახურიდან წასვლაც კი გამოიწვია.

მოლოდინი მაქვს, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრების საკმაოდ დიდი რაოდენობა დამიჭერს მხარს. უღრმესი მადლობა მათ!

მოგეხსენებათ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად ვმუშაობ ბოლო რვა წელია. ამ წლების განმავლობაში ფაკულტეტზე იყო დებატები, პოლემიკა, მაგრამ არასდროს გადაზრდილა არაკეთილსინდისიერ ქმედებაში, ხმების უსაფუძვლოდ დაყრისა და მცდარი ინფორმაციის მიზანმიმართულად გავრცელების ისეთ მცდელობებში, რაც ახლა, არჩევნების წინ მოხდა.

ადმინისტრაციული გუნდი, მიუხედავად მისი არაჰომოგენურობისა, მთელი რვა წლის განმავლობაში წარმატებით ახორციელებდა თავის საქმიანობას და რაც მთავარია, მოახერხა, რომ ფაკულტეტზე ჯანსაღი ატმოსფერო შეექმნა. სწორედ ამ გუნდის წევრად მივიჩნევ თავს. ბრძოლის არაეთიკური ხერხები, ხელოვნურად ინსპირირებული წინააღმდეგობები ჩვენი გუნდისთვის მიუღებელია!

აქედან გამომდინარე, თავს მოვალედ მივიჩნევ, მივიღო ისეთი გადაწყვეტილება, რაც შექმნილი ვითარების განმუხტვას წაადგება.

ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ვხსნი ჩემს კანდიდატურას.

მიმაჩნია, რომ საბჭო დარჩენილი ორი კანდიდატიდან ღირსეულს აირჩევს.

ჩემს პოტენციურ ამომრჩევლებს კი მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისა და თანადგომისთვის!

პატივისცემით,

რევაზ ჯორბენაძე

18 დეკემბერი, 2022 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

19 დეკემბერი, 2022წ.

1. ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით: 32
2. კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით: 26
3. საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა: 26.
4. ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა: 0
5. თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა: [illegible] - 21
   [illegible] - 5
6. კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა

[illegible]

[illegible]

[illegible]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანის არჩევნები

ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სია

19 დეკემბერი, 2022წ.

№	სახელი გვარი	პირადი ნომერი	ხელმოწერა
1	თამარ დოლბაია		
2	ალექსანდრე კუხიანიძე		
3	მალხაზ მაცაბერიძე		
4	სალომე დუნდუა		
5	ზვიად აბაშიძე		
6	ვალერიან მელიქიძე		
7	ნინო პავლიაშვილი		
8	გიორგი გოგსაძე		
9	ვაჟა ლორთქიფანიძე		
10	ზურაბ დავითაშვილი		
11	ფიქრია ასანიშვილი		
12	კონსტანტინე შუბითიძე		
13	დავით მაცაბერიძე		
14	იაგო კაჭკაჭიშვილი		
15	ამირან ბერძენიშვილი		
16	ნინო დურგლიშვილი		

17	თამარ მახარაძე		
18	მარი წერეთელი		
19	მანანა შამილიშვილი		
20	ნანა ტალახაძე		
21	ხათუნა მაისაშვილი		
22	ნინო ჭალაგანიძე		
23	რევაზ ჯორბენაძე		
24	ნოდარ ბელქანია		
25	ზურაბ აბაშიძე		
26	თეონა მატარაძე		
27	ალექსანდრე გაბაშვილი		
28	ნინო პაქსაშვილი		
29	ცირა თოფური		
30	კახი კუჭუხიძე		
31	შოთა ქარქაშაძე		
32	რატი ხითარიძე		

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
თამარ დოლბაის

ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის რევაზ ჯორბენაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ქალბატონო თამარ,

ფაკულტეტის საბჭოს სხდომისთვის განსახილველად წარმოგიდგენთ განათლების ხარისიხს განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშებს:

<u>**საბაკალავრო პროგრამა:**</u>

1. **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის მეცნიერება“** *(დადგენილება № 32530, 2021, დანართი 36).*

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება
ცვლილების აღწერა: ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების 120 კრედიტი გადანაწილდა შემდეგნაირად: სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობოდა 60 კრედიტი და გახდა - 65; არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობოდა 60 კრედიტი და გახდა - 55.

ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება.
ცვლილების აღწერა: არჩევით სასწავლო კურსს **„ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“** - შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო ნაცვლად არცევითისა;

ცვლილება: სასწავლო კურსის წინაპირობების ცვლილება.
ცვლილების აღწერა:

- სასწავლო კურსის „მსოფლიო პოლიტიკის“ წინაპირობა გახდა „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“;
- სასწავლო კურსის „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები“ წინაპირობა გახდა „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“;
- სასწავლო კურსის „შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში“ წინაპირობა გახდა „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“;
- სასწავლო კურსის „დემოკრატიზაცია და ტრანზაცია“ წინაპირობა გახდა „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“;
- სასწავლო კურსის „კავკასიის შედარებითი პოლიტიკა“ წინაპირობა გახდა „შედარებითი პოლიტიკა“;
- სასწავლო კურსის „პოლიტიკური კულტურა“ წინაპირობა გახდა „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“;

- სასწავლო კურსის „სამოქალაქო საზოგადოება“ წინაპირობა გახდა „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“;
- სასწავლო კურსის „გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები“ წინაპირობა გახდა „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“.

ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის განახლება.
ცვლილების აღწერა:

- სასწავლო კურსში **„საქართველოს პოლიტიკური სისტემა“** - განახლდა სავალდებულო ლიტერატურა;
- სასწავლო კურსში **„ადამიანის უფლებები პოლიტიკის კონტექსტში“** - განახლდა სავალდებულო ლიტერატურა;

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულება (*ანგარიშის წარდგენის ვადა 27/12.2022)*

<u>**სამაგისტრო პროგრამები:**</u>

1. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“** *(დადგენილება № 45162, 2021, დანართი 65).*

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება.
ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამაში ფორმულირდა სწავლის შედეგები, კონკრეტულად *,,ცოდნა და გაცნობიერება''.*

ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების რეფორმულირება.
ცვლილების აღწერა:

- პროგრამის შემდეგ სასწავლო კურსებში ფორმულირდა სწავლის შედეგები:

1. ,,ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემები'';
2. ,,ეკონომიკური დიპლომატია'';
3. ,,თვისებრივი კვლევის მეთოდები''.
4. ,,კავკასიის კონფლიქტები''.
5. ,,საგარეო ვაჭრობა და ვაჭრობის პოლიტიკა'';
6. ,,ქართული დიპლომატიის ისტორია''.

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამიდან საგნის ამოღება
ცვლილების აღწერა: არჩევითი სასწავლო კურსი **,,კონფლიქტების და მშვიდობის თეორიები ''**- ამოღებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამიდან.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულება (*ანგარიშის წარდგენის ვადა 29/12.2022)*

2. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გენდერის კვლევა“** *(დადგენილება* № 32541, *2021, დანართი 43). ანგარიშის წარდგენის ვადა 27/12.2022*

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება.
ცვლილების აღწერა:

- რეფორმულირდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. მსგავსი სწავლის შედეგები გაერთიანდა და შესაბამისად სწავლის შედეგების რაოდენობა შეიკვეცა. მიმდინარე პროგრამაში წარმოდგენილია ათი სწავლის შედეგი (იყო თხუთმეტი). მოცემული სწავლის შედეგები გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან.

ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსებში სასწავლო კურსის შინაარსის განახლება.
ცვლილების აღწერა:

- სავალდებულო სასწავლო კურსში **„სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები”** სასწავლო კურსის შინაარსში განახლდა სალექციო თემები, საკითხები.
- სავალდებულო სასწავლო კურსში **„სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები”.** სასწავლო კურსის შინაარსში განახლდა სალექციო თემები, საკითხები.
- სავალდებულო სასწავლო კურსში **„გენდერი და განვითარება”** სასწავლო კურსის შინაარსში დაკონკრეტდა სალექციო თემატიკა.

ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსებში ლიტერატურის განახლება.
ცვლილების აღწერა:

- სავალდებულო სასწავლო კურსში **„სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები”** განახლდა სავალდებულო ლიტერტურა;
- სავალდებულო სასწავლო კურსში **„სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები”.** განახლდა სავალდებულო ლიტერტურა;
- სავალდებულო სასწავლო კურსში **„კვლევითი პროექტის დიზაინი”** სასწავლო კურსის შინაარსში განახლდა სავალდებულო ლიტერაურა.

ცვლილება: პროგრამაში ახალი სასწავლო კურსების დამატება.
ცვლილების აღწერა:

- პროგრამას არჩევითი კურსის სტატუსით დაემატა ახალი სასწავლო კურსი **„კვლევის ფემინისტური მეთოდოლოგია”** - საათობრივი დატვირთვა - 15/15, კურსს გაუძღვება ასოცირებული პროფესორი, მედეა ბადაშვილი;
- პროგრამას არჩევითი კურსის სტატუსით დაემატა ახალი სასწავლო კურსი **„მასკულინობების სოციოლოგია”** - საათობრივი დატვირთვა - 15/15, კურსს გაუძღვება მოწვეული ლექტორი, გენდერის კვლევების მაგისტრი და სოციოლოგიის პროგრამის დოქტორანტი, გიორგი ურჩუხიშვილი;
- კონფლიქტოლოგიის საგამისტრო პროგრამიდან გენდერის კვლევის პროგრამას დაემატება არჩევითი სასწავლო კურსი **„ სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS)”,** ლექტორი ივანე კეჭაყმაძე.

ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება.
ცვლილების აღწერა:

- არჩევით სასწავლო კურსს **„ქვიარ თეორია“** - შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო;
- სავალდებულო სასწავლო კურსს ,,**საჯარო პოლიტიკის ანალიზი - გენდერული მიდგომები**” - შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულება (*ანგარიშის წარდგენის ვადა 27/12.2022).*

პატივისცემით,
რევაზ ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ დოლბაიას, ამავე ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტის,

ნათია კეკენაძის
(პ/ნ: 01027077111
მობ. ნომერი: +995 555351450)

განცხადება

გთხოვთ, მომცეთ მობილობის შესაძლებლობა საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამიდან ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამაზე.

თარიღი: 16.12.2022
ხელმოწერა: ნათია კეკენაძე

ნ. კეკენაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის

ნინო პავლიაშვილის

თანხმობის წერილი

აღნიშნული წერილის საფუძველზე თანხმობას ვაცხადებ, რომ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მეოთხე სემესტრის დოქტორანტს, ნათია კეკენაძეს, მისცეთ ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამაზე გადასვლის უფლება.

პატივისცემით,

ნინო პავლიაშვილი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი

თანხმობის წერილი

თანახმა ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ნათია კეკენაძე (პ/ნ: 01027077111) გადმოვიდეს ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამაზე და გავუწიო მას სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

ურბანისტიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: იოსებ სალუქვაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის

„საერთაშორისო ურთიერთობების“

სტუდენტის, გიორგი კეკელიანის

პირადი ნომერი: 01011093129

მობ: +995 555 79 42 06

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2021 წლიდან ვირიცხები საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამაზე, ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლავთ პროფესორი თორნიკე თურმანიძე.

გთხოვთ, სადისერტაციო თეზისის ცვლილების ნიშნად, შეცვალოთ თემის სათაური - „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ეკონომიკური დამოკიდებულების კონტექსტში და მისი გავლენა მშვიდობაზე“ და დაამტკიცოთ სადისერტაციო თემის ახალი სათაური: „ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მოქმედებაში: რუსეთი და საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები.“

პატივისცემით,

გიორგი

კეკელიანი,

16.11.2022

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ქალბატონ თამარ დოლბაიას

თანახმა ვარ, დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის გიორგი კეკელიანის სადისერტაციო თეზისი თემაზე: „ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მოქმედებაში: რუსეთი და საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები.“

პატივისცემით,

თ. თ

თორნიკე თურმანიძე, პროფესორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო

ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი

16.11.2022